№ 78

ხუთშაბათი, 13 აპრილი, 1900 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 78

ხუთშაბათი, 13 აპრილი, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 22



## სახალხო სეირნობა

### საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ“ განზრახულია გაიმართოს მაისის 6 და 7-ში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოზის ქუჩა, № 21.


## ახალი ამბავი

*** კავკასიის სამთო გამგეობას პარიჟის გამოფენაზედ გაუგზავნია ჩვენებურ მთა-მადნის ნიმუშები. მათ შორის საყურადღებოა ძმათა სიმენსების ქარხნის ნაწარმოები ელექტრონული სპილენძი, ქვა ნახშირის საბჭოს მიერ წარდგენილი შორაპნის მაზრის მადნეულობის კოლექცია, ამავე საბჭოს გაუგზავნია ფოტოგრაფიული ალბომი მადნეულობისა და მადნეულობის საწარმოებელ მოწყობილებისა. ტფილისის თავად-აზნაურობას წარუდგენია სალიტოგრაფიო ქვისა და ქვა-ნახშირის ნიმუშები. სამთო გამგეობას გამოფენაზედ წარუდგენია აგრეთვე რამდენიმე რუკა კავკასიის მთა-მადნეულობის ადგილ-მდებარეობისა.

*** სამიწად-მოქმედო სამინისტროს აგრონომი კავკასიაში თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი დანიშნულ იქმნა ოძისის სახელმწიფო მამულის გამგედ. განზრახვა აქვთ, ამ მამულში გამართონ პირველ ხანში მებაღე მუშათა სასწავლებელი და შემდეგ სასოფლო სამეურნეო სასწავლებელი.

*** სამიწად-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გადაწყვეტილებით, ვინც მიმდინარე წელს კავკასიაში ნავთის აღმოსაჩენად გამოიკვლევს მიწებს, მას დესეტინაში ხუთი მანეთი გარდახდება.

*** ცხენოსანთა საზოგადოების დირექტორობის განუცხადებია ტფილისის ქალაქის მოურავისათვის, რომ თუ ჩემი თხოვნა ფუნიკულერის გაყვანის შესახებ შეწყნარებული იქნება, მთაწმიდის ვაკეზედ, რომელსაც „განდეგილი“ ჰქვიან, გავიყვან წყლის მილს, ავაშენებ ბაღსა და საზაფხულო თეატრსაო.

*** სასულიერო მთავრობის განკარგულებით, მიმდინარე წლის გაზაფხულიდგან ზოგიერთ სამრევლო სასწავლებელში შემოიღებენ მეურნეობის სწავლებას.

*** იმ საქალებო გიმნაზიებში, რომელიც დედოფალ მარიას უწყებას ეკუთვნის, მთავრობის განკარგულებით, გადასასვლელი ეგზამენები გაუქმებულ იქმნება ყველა კლასებში, გარდა ორის უკანასკნელის კლასისა, რომლებშიაც ისევე საგალდებულო უნდა იყოს გამოცდა მოსწავლეებისა, როგორც წინად იყო.

*** 11-ს აპრილს აკაკის ქუჩაზედ სახალხო სამკითხველოს შენობაში გამართულ იქმნა ქართული წარმოდგენა. მონაწილეობას იღებდნენ ქართული თეატრის არტისტნი ქ-ნნი საფაროვისა და გაბუნია-ცაგარლისა. წარმოადგინეს ფრანგულიდგან ნათარგმნი დრამა „ორი ობოლი“. ქ-ნთ საფაროვისამ და გაბუნია-ცაგარლისამ ჩვეულებისამებრ საუცხოვოთ ჩაატარეს თავისი როლები, საზოგადოდ არა უშავდა რა დანარჩენ სცენის მოყვარეთაც, ზოგიერთებს გარდა, რომელთაც როლების დასწავლისათვის თავი არ შეუწუხებიათ. მადლობის ღირსნი არიან, ქ-ნი საფაროვისა და გაბუნია-ცაგარლისა, რომელთაც უსასყიდლოდ მიიღეს მონაწილეობა იმისთანა თანასაგრძნობს საქმეში, როგორიც საზოგადოთ სახალხო წარმოდგენაა.

ამავე სახალხო თეატრში დანიშნულია მეორე წარმოდგენა პარასკევს, 14-ს აპრილს. წარმოადგენენ კომედიას „ჯერ დაიხოცნენ და მერე დაქორწინდნენ“. წარმოდგენის შემდეგ გამართული იქნება ბუნდოვანი სურათები „კეფხის ტყაოსნიდგან“.

*** ს. მეჯვრისხევი (გორის მაზრა). ამ სოფელს ჩამოუდის შუაზედ მდინარე მეჯუდა, რომელიც ამ სოფლის მცხოვრებლებს დიდს ზარალს აძლევს მუდამ წელს... მეტადრე გაზაფხულობით, როცა ადიდდება ხოლმე. ეს სოფელი თუმცა დიდი ხანია სულ ამ მდგომარეობაში იყო, მაგრამ ეხლა უფრო მოუმატა უბედურება. საქმე ის არის, რომ ამ მდინარეს ჰქონდა ნაპირებზედ ჩარიგებული ხეები, რომელნიც რამდენიმედ იკავებდნენ წყალს, მაგრამ ეხლა წყალმა წაიღო ისინი და ნაპირები დარჩა დაუცველი. გარდა იმისა, ეს მდინარე უახლოვდება ეკკლესიებს და განსაცდელს უქადის.

ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება ბ-ნმა მგალობლიშვილმა, მეჯვრისხევის ბოქაულმა. მას აზრად აქვს შეუკრას ამ მდინარეს ნაპირები ბურჯებით, ზედ გააკეთოს ხიდი, რომელზედაც ურმებსაც შეეძლებათ სიარული.

*** ლაგოდეხი, (სიღნაღის ოლქი). აქ ოთხ აპრილს, დილის $5^1/_2$ საათზედ, ძრიელად იძრა მიწა. მიწის ძვრამ კარგახანს გასტანა. უბედურება არა მომხდარა, ხოლო ხალხი-კი დიდად შეშინდა.

*** როგორც გვატყობინებენ დოლლიაურის სადგურიდგან, იქ 12 აპრილს შემდეგი უბედურება მომხდარა. მე-432 ვერსტზედ ორთქმავალის ფორსუნკა გაფუჭებულა, მაშინისტის თანაშეწე ფორსუნკის გასწორებას შესდგომია, მაგრამ ამ დროს ნავთი შესხმია მილიდგან და წაჰკიდებია ცეცხლი ტანისამოსზედ. ცეცხლ-წაკიდებული მაშინისტის თანაშემწე გადმომხტარა ორთქმავალიდგან და მინდორზედ გაქცეულა. მაშინისტს კოგლუხიძეს მატარებელი შეუჩერებია და ისიც გადმომხტარა მისაშველებლად, მაგრამ გვიანღა ყოფილა: უგრძნობელი ეგდო თურმე. საწყალი გზაში გარდაცვლილა.

## სათავად-აზნაურო ქარხანა ქუთაისში *)

ქუთაისის გუბერნიაში აღმოჩენილ იქმნენ ახალი პროფესიონალისტები, რომელთაც „ამხანაგობა შეუდგენიათ ყალბის სათავად-აზნაურო საბუთის ქაღალდებისა და იმერეთის მეფის სოლომონისა და სამეგრელოს მთავართა, თავადთ დავით და ლევან დადიანების სიგელთა გასაკეთებლად“. ამ ამხანაგობის მიერ გათავად-აზნაურებულებს ქუთაისის მდაბიო ხალხი „აშორდიასეულ თავად-აზნაურებს“ უწოდებს და ახალი გვარეულობაა ადგილობრივ არისტოკრატიისა. არავის დაახლოვებითაც არ შეუძლიან აღრიცხოს, რამდენი მომხდარა ამ ხანში მთელს გუბერნიასა და ქ. ქუთაისში დაქრთამვა ადამიანისა, მოსყიდვა, უკანონობა, ცრუ-ფიცი, სიყალბე და ქრთამის აღება. ყოველთ უწინარეს ჯეროვანი ქება უნდა ვუკმიოთ ამ fin de siècle-ს საოცარ ამხანაგობის მთავარ-გამგეს გონიერებას. ამ გენიოსურად მოგვარებულს ამხანაგობას საუცხოო შედეგი მოჰყვა თურმე, რადგან იგი ბ-ნთ „თავად-აზნაურობის მაძიებელთ“ ხაზინის სახელით ართმევდა გარდასახადს თვისდა სასარგებლოდ...

ამ ამხანაგობის მიერ მოგონებული და განხორციელებული გეგმა მოქმედებისა შემდეგი იყო. ქუთაისის გუბერნიის ყოველს სამაზრო ქალაქში დანიშნული იყო განსაკუთრებული რწმუნებული, რომელიც მხოლოდ თავისის მაზრის „საქმეებს“ განაგებდა. შემდეგ გამოჩეკილ და დახელოვნებულ იქმნა მთელი გროვა „სათავად-აზნაურო აგენტებისა“, რომელთაც შელია და წულასკირი ჰმეთაურობდნენ და რომელთა მოვალეობასაც ის შეადგენდა, რომ ევლოთ აქეთ-იქით და მოეძებნათ აზნაურობისა, ანუ თავადობის ღირსების მსურველნი.

მართალია, ეს ცოტა ძნელი საქმე იყო, მაგრამ კარგად-კი აჯილდოვებდა მოსაქმეს. ქუთაისს ცურგვავას „ცენტრალურ ნომრებში“ თავს ბრუდამსხმელის სისწრაფითა და სიჩქარით „ურიგდებოდნენ“ ერთმანეთს (რასაკვირველია, საკმაო ბჟსა და წინდის მიცემის შემდეგ). „ყალბ სათავად-აზნაურო საბუთის ქაღალდებისა და იმერეთის მეფის სოლომონისა და სამეგრელოს მფლობელთა, თავადთ ლევან და დავით დადიანების ექსპედიციის“ გამგედ იყო ერთი დიდი ოსტატი ამ საქმისა, ვინმე აშორდია, რომლის ვინაობის გამოც მის მიერ გათავად-აზნაურებულთ ეძლეოდათ, როგორც ვთქვით, „აშორდიასეულ თავად აზნაურთა“ სახელი.

ტფილისში, „სათავად-აზნაურო აგენტებს“ გარდა, განყოფილება იყო დაარსებული „ყალბის წლოვანების მოწმობათა გასაკეთებლად“.

ამ ჟამად აშორდია, შელია, ცურგვავა, წულასკირი და ამხ. ქუთაისის საპატიმროში იმყოფებიან...

კანონიერი წესი სათავად-აზნაურო საკრებულოებში იმათის საქმის განხილვისა, რომელნიც თავადისა ანუ აზნაურის წოდებას ეძიებენ, შემდეგია: სხდომა იმართება გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლის თავმჯდომარეობით. ამ სხდომის დროს განხილულ იქმნება ხოლმე „საქმე“, ხოლო თათბირს შემდეგ რასაც დაადგენენ, ამ დადგენილებისას ოქმსა სწერენ და ამ ოქმის პირი იგზავნება უმართებულესის სენატის გეროლდიის დეპარტამენტში მოხსენებითურთ. ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში-კი სულ სხვა წესი ყოფილა ასეთ თავად-აზნაურობის მაძიებელთა თხოვნის განსახილველად. მაგალითებრ, პავლე ნოდარეიშვილის საქმის გამო საკრებულოს სულ არა ჰქონია სხდომა, მაგრამ ამისდა მიუხედავად თავად აზნაურობის დეპუტატს კ. დ. მაჭავარიანს 1898 წლის ოქტომბერში წარუდგენია უმართებულესს სენატში „საქმე“ ნოდარეიშვილის აზნაურად დამტკიცების შესახებ და ამ საქმეშივე ჩაკერებული ყოფილა ყალბი პირი არა-არსებულის ოქმისა, ვითომცა იმავე 1898 წლის მარტის თვეში დადგენილისა.

მაგრამ... მათდა საუბედუროდ, ამ „საქმემ“ თავი ვერ გაიტანა და იგი დააბრუნეს უკან, ხოლო... არა დეპუტატთა საკრებულოში, როგორც ამას თხოულობდა დეპეშით ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თავ. წერეთელი, არამედ პირდაპირ გაეგზავნა ქუთაისის გუბერნატორს გენერალ-მაიორს გერშელმანს. ეხლა ბ-ნ მაჭავარიანს სასჯელთა დებულების მე-362 მუხ. აღნიშნული ბრალი ედება და პასუხის გებაშიაც არის მიცემული.

ქუთაისის სოფელ საწულუკიძეოს მცხოვრებელი ალექსი სიმონის ძე წულუკიძე—უკანონოდ შობილი, როგორც ეს აღნიშნულია კამერალურს სიებში, დამტკიცებულია აზნაურად, თუმცა არა თუ არასოდეს უსარგებლია ამ ღირსებით, სამეგრელოშიაც-კი არასოდეს ყოფილა. საიდუმლო ამ საქმისა-კი ის არის, რომ ეს წულუკიძე წულასკირის სიმამრი ბრძანებულა და ამასთანავე მარჯვენა ხელი ყოვლად-ძლიერის აშორდიასი.

სასიგელო ქაღალდს ასე ამზადებდნენ თურმე: ან არხივებსა და კანცელარიებში ჰყიდულობდნენ, ან შინაურულად აკეთებდნენ, ესე იგი ჰხარშავდნენ, ისე-კი, რომ მდუღარე წყალში ჰყრიდნენ რაღაც ნარევს, რომელშიაც ლილა ანუ მჭვარტლი ერია. როდესაც ამ გვარად გამოხარშულს ქაღალდს განსაკუთრებულის საშუალებით გაამშრალებდნენ, ქაღალდს ძველის სიგელის სანახაობა ეძლეოდა და ლურჯი, ან ყვითელი ფერი დაჰკრავდა. შემდეგ აშორდიას ულ ექსპედიციის „გეროლდიის“ ამგე სწერდა შინაარს ამა ქაღალდზედ და აკრავდა ზედ ჯეროვანს ბეჭდებს სამეგრელოს მთავრებისას და „სამეგრელოს საბჭოსას“. ამ გვარად მომზადებული სიგელი იგზავნებოდა ქუთაისის გუბერნიის სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოში.

თავად-აზნაურთა შთამომავლობის აღმნიშვნელი დავთრები, ესრედ წოდებული „კომისიის“ წიგნები, ინახებოდა ქუთაისის გუბერნიის სამმართველოში და ამიტომ ქუთაისის გუბერნიის სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულო შეეკითხებოდა ხოლმე ამა სამმართველოს საკრებულოში წარდგენილს იმერეთის მეფის სოლომონის ანუ სამეგრელოს მთავრების თავ. ლევან და დავით დადიანების სიგელების შესახებ. გუბერნიის სამმართველოს უნდა შეემოწმებინა, იყო თუ არა „კომისიის“ დავთრებში საბუთები, ამ სიგელების სიმართლის აღმნიშვნელნი, და აგრეთვე იმის მაჩვენებელნი, რომ თავად-აზნაურობის მაძიებელი—თავადი, ანუ აზნაური არისო.

ერთს ხანს საქმე კარგად მიდიოდა, პასუხი გუბერნიის სამმართველოდგან ყოველთვის საკეთილო მოდიოდა „თავად-აზნაურობის მეძიებელთათვის“. მაგრამ მას შემდეგ-კი, რაც ქუთაისის ვიცე-გუბერნატორად დაინიშნა ს. ს. მიკლაშევსკი, წარსულის წლის შემოდგომაზედ უცბად გარდაცვლილი, გუბერნიის სამმართველო ხშირად აცნობებდა დეპუტატთა საკრებულოს, რომ „კომისიის დავთრებში“ არის ცნობები ამა თუ იმ თავად-აზნაურობის მეძიებელის შესახებ, მაგრამ ეს ცნობები „ჩაწერილია ახლად და სხვა ხელით და ჩამატებულს ფურცლებზეაო“. რაკი ასეთი არა კეთილ-სასურველი პასუხის გზავნა დაიწყო სამმართველომ, „აშორდიასეულმა ექსპედიციამ“, გუბერნიის სამმართველოს მოწერილობის ნაცვლად, რომლითაც მის მიერ მომზადებულს სიგელს ძალა და მნიშვნელობა ეკარგებოდა, დაიწყო მზადება გუბერნიის სამმართველოს ყალბის მოწერილობისა, რომელზედაც ყალბად ხელ-მოწერილი იყო ვიცე-გუბერნატორისა, ანუ სამმართველოს წევრის გვარიც, და აი, ეს ყალბი მოწერილობა იგზავნებოდა თურმე დეპუტატთა საკრებულოში თავად-აზნაურობის მეძიებელთა სურვილის განსახორციელებლად.

---

*) ეს წერილი დაბეჭდილია „Новое Время“-ს ამა წლის 4 აპრილის მე-8658 №-ში კორესპონდენციის სახით და ეკუთვნის ცნობილს თანამშრომელს ამ გაზეთისას ბ-ნს ნ. ი. შამშევს. მოგვყავს იგი სავსებით.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პატარა საუბარი

—

ახირებული კაცი ყოფილა ბ-ნი ჟორდანია.

ხომ მოგეხსენებათ და, თუ არ მოგეხსენებათ, აწ მოიხსენეთ, რომ ამ სუტ-მეცნიერმა მარქსისტმა ამ უკანასკნელს ჟამს დასწერა წერილი, რომელსაც „პრესსა“ ჰქვიან. აქაო და ამ „პრესაზე“ მე არა ვთქვი რა, იგი ამისთანა წყრომას მითვლის: „პრესსის საგანი განზე მო(?) უდვიაბმის ალაგას სულ სხვა რაღაცა მოსიზმრებიაო“ *). მეორე ადგილას გვიბძანებს: „ჩვენ დავასკვენით, რომ „ივერიამ“ უარჰყო „საქართველოს მოამბეო“... დაამტკიცეთ წინააღმდეგიო“! **).

მე ავირჩიე საგნად დავამტკიცო, რომ ეს ჩვენი უებრო ბრძენი ბ-ნი ნოე ჟორდანია ყოვლად უმეცარია და ამის საბუთად მომყავს იგი საანბანოდ საცოდნელი სიტყვები, რომელთ მნიშვნელობაც სრულებით არ გაეგება და დიდის ფახი-ფუხოპით-კი ჰხმარობს, და ის-კი მიბრძანებს: ჩემს „პრესსაზე“ სწერეო, ან ჩვენ დავასკვენით და შენ დაამტკიცე წინააღმდეგიო.

ნუ სჩქარობთ, ბ-ნო ჟორდანიავ! იქნება დრო მოვიდეს და მაგაებსაც მოვესწროთ. ჯერ დამაცადეთ დაგიმტკიცოთ, რომ თქვენ კენჭების ზიდვის ღონეც არა გაქვთ და ლოდებს-კი ეპოტინებით თავ-მოწონებული. ჯერ ორიოდე ფელეტონი კიდევ მომინდება თქვენის უანბანობის საბუთები გადმოვალაგო, ვაუწყო ქვეყანას, რომ საანბანო ტერმინები პოლიტიკურ ეკონომიისა, თუ სხვა მეცნიერებისა თქვენთვის მიუწდომელი სიბრძნეა, ამაებით მზეზე გამოვფინო თქვენი არარაობა და მერე ვეცდები, თქვენი სხვა და სხვა ნაწერები გამოვშიგნო და გამოვწლა. იმ დრომდე გთხოვთ მოთმინება იქონიოთ.

ეხლა-კი საკვირველი ის არის, რომ თქვენ მართლა გადიდკაცებულხართ, ბატონობა და ბრძანებლობა დაგიჩემებიათ. მართლა-და, განა ასეთი ბატონობა და ბრძანებლობა-ღა იქნება, რომ მწერალს, გინდ ჩემისთანა უხეიროს, კაცმა უბძანოს: შენ შენით-კი ნუ აირჩევ საგანს, მე რაც გიბძანო, ისა სწერეო; ანუ: მე ესა და ეს დავასკვენი, დაამტკიცე წინააღმდეგიო.

არ ვიცი, სად და ვისგან მიუღია ესეთი ბატონობა და ბრძანებლობა ბ-ნს ჟორდანიას? ან იქნება ამისთანა საქციელი, ამისთანა შეხუთვა და შებოჭვა სხვისის თავისუფლებისა პროგრესიული მოძღვრება იყოს, გერმანიიდამ ახლად გადმოტანილი? ჩვენ-კი, კონსერვატორებს, ძალიან გვეუცხოვება და უმორჩილესად ვთხოვთ ბ-ნს ჟორდანიას ნება და თავისუფლება მოგვცეს ჩვენ ავირჩიოთ ჩვენი საგანი და რა საგანზედაც გვინდა წერა, იმისი ნება გვიწყალობოს. კიდევ ვიტყვი: ჩემი ერთად-ერთი საგანია ბ-ნ ჟორდანიის ყოვლად უმეცრობის ფართი-ფურთობა და ქარაფშუტობა გამოვაქვეყნო. მე ამ საგანს არ გადავუდგები და თქვენ, ბ-ნო ჟორდანიავ, თქვენი ბრძანება „განზე მოიდევით“, თუ არ დაგიშლიათ.

სულ სხვაა, რომ მე შემოგიკვეთეთ ერთ რასმეზე საბუთი წარმოგედგინათ. მაგალითებრ: თქვენ იმის დასამტკიცებლად, რომ ვითომც ბანკები „ფინანსიურ დაწესებულებად“ ცნობილ არიან, იმოწმეთ ვიღაც უცნობი დიმიტრი ტოლსტოი მარტო ცარიელის სიტყვით და თვით მოწმობა-კი, ესე იგი, დიმიტრი ტოლსტოის თქმული-კი არ მოიყვანეთ, რომ ჩვენც დაგვენახა, — მართლა იმას ამბობს იგი, რასაც მის მაგიერ თქვენ გვეუბნებით, თუ არა. მე დიდი ეჭვი ავიღე, რადგანაც ამისთანა უმეცრობას ძნელად თუ ვინმე იტყოდა, რასაკვირველია, თქვენს გარდა. ამიტომაც გთხოვეთ, — აბა ამოგვიწერეთ-თქო დიმიტრი ტოლსტოის თქმული ამ საგანზე. თქვენ ბევრი ლათაიები დასწერეთ მას მერმედ და დიმიტრი ტოლსტოის თქმული-კი დღეს აქამომდე არსად არის. ყური მოიყრუეთ განა? რა ჰქვიან ამას? რით აიხსნება აქ თქვენი დუმილი და სულის განაბვა? რატომ არ ამოგვიწერეთ, არ დაგვანახვეთ თქვენისავე მოწამის ჩვენება? იტყუეთ, რომ დიმიტრი ტოლსტოი იმოწმეთ, თუ შეუშინდით, რომ ახალი საბუთი არ მომცეთ კვლავ მოგეხსენოთ: წაკითხვა გცოდნიათ და წაკითხულის გაგება-კი არა.

რაკი დიმიტრი ტოლსტოი იმოწმეთ თავის გასამართლებლად, მე სრული ნება და საბუთი მქონდა თქვენი ცარიელი სიტყვა არ მეკმარა და მეთხოვა თქვენთვის თქვენის მოწამის ჩვენება გამოგექვეყნებინათ. შეუძლებელი-ღაა ეხლა თავი დამახწიოთ. ვერსად წამიხვალთ: ან დიმიტრი ტოლსტოის ჩვენება წარმოგვიდგინეთ, ან გამოტყდით, რომ ტყუილად იშვერთ იმაზე თქვენს ბედნიერს ხელსა. თუ ამას იქით არც ერთს ინებებთ, არც მეორეს, მაშინ ნება მექნება ვთქვა, რომ... აბა რა ვთქვა? ის სჯობია თვითონ მკითხველმა გამოიცნოს — კაცმა ამისთანა შემთხვევაში რა უნდა სთქვას.

ახალ-მოსული

*) „კვალი“ № 13, გვ. 207.

**) „კვალი“ № 15, გვ. 240.

---

## ბ-ნ ი. ს. გოგებაშვილის გამოცემული წიგნები.

12 მარტს შესრულდა ოც-და-თხუთმეტი წელიწადი მას შემდეგ, რაც პირველად დაიბეჭდა პირველი სამოსწავლო წიგნი ბ-ნ ი. ს. გოგებაშვილისა, სახელდობრ: „ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“. გვგონებთ, მკითხველისათვის საინტერესო იქმნება შეიტყოს, რა და რა წიგნი დაუბეჭდია ამ ავტორს და რამდენი ცალი მისის წიგნებისა მოფენილა ჩვენს ქვეყანაში ამ ოცდა-თხუთმეტი წლის განმავლობაში.

„ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“, რომელიც პირველად გამოვიდა 1865 წლის დამდეგში და რომელსაც ეხლა „გოგორი“ ეწოდება, დღემდის დაბეჭდილა 60,000 ცალი. „ბუნების კარი“, რომელიც პირველად დაიბეჭდა 1868 წელში, აქამომდე დაბეჭდილა 50,000 ცალი. „გონა“, გამოცემული 1875 წ., დღემდე დაბეჭდილა 6,000. „დედა-ენა“, რომლის პირველი გამოცემა დაიბეჭდა 1876 წელ., დღემდე დაბეჭდილა სულ 218,000 ცალი. და ნარჩენ წიგნების რაოდენობა შემდეგია: „ხომლი“ — 2,400; „კუნწულა“ — 1,200; „იავნანამ რა ჰქმნა“ — 4,800 ც.; „ხატის მიზეზი“ — 1,200; „ასპინძის ომი“ — 3,600; „თავ-დადებულნი ქართველნი“ — 6,000; მოსავლის მცველნი“ — 2,400; „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“ — 6,000; „მირთადი უკუღმართობა“ — 1,200; „სხვაი წარსულისა“ — 2,400; „საარაკო თავ-გადასავალი ტახტის მემკვიდრისა“ — 1,200; „დარიგება მასწავლებელთათვის“ — 1,200; „ქართული დედანი“ — 8,000. ასე რომ მთელი რაოდენობა ამ წიგნებისა შეადგენს 375,600 ცალს.

ამავე დროს რუსულ ენაზე დაიბეჭდა იმავე ავტორისა შემდეგი წიგნები: „Русское Слово“, პირველი ნაწილი — 80,000 ცალი, „Русское Слово“, მეორე ნაწილი 37,000, „Методика къ русскому слову“ — 2,400, „Разборъ учебныхъ руководствъ“ — 1,200; „Правда о Тифлисѣ“ — 720; „Къ вопросу о поднятiи образованiя среди грузинскаго дворянства“ — 600, „Нормальное письмо“ — 1,200, სულ 123,120 ცალი. თუ შევკრებთ რაოდენობას ქართულისა და რუსულის წიგნებისას, ერთად შეადგენს 498,720, ასე რომ თითქმის ნახევარი მილიონი ცალი წიგნი გამოდის. რადგანაც ეხლა „დედა-ენა“ იბეჭდება მეთხუთმეტე გამოცემად 24,000, ამიტომ ეს რიცხვი ბევრად გადააჭარბებს ნახევარს მილიონს.

გვგონებთ, რომ საქართველოს დაარსებიდგან დღემდე ეს პირველი მაგალითია, რომ რომელისამე ქართველის ავტორის წიგნები მოჰფენოდეს ქვეყანას ნახევარ მილიონით და ისიც ავტორის სიცოცხლის დროს. ეს მოვლენა იმისი მომასწავებელია და წინამორბედი, რომ მალე დადგება დრო, როდესაც ქართველ პოეტებისა, ბელეტრისტებისა, პუბლიცისტებისა და სხვა მწერლების თხზულებანი ათასობით და ათი ათასობით მოეფინება ჩვენ ქვეყანას ყოველ წლით.

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

კავკავის გაზეთ „Казбекъ“-ში საყურადღებო წერილია დაბეჭდილი ბ-ნ ხ. ურუიმაგოვისა. ავტორი შეეხება რუსულის ენის იმ სახელმძღვანელოებს, რომლებიც ოსეთის პირველ დაწყებითს სკოლებშია შემოღებული, ამ სახელმძღვანელოებს შორის ბ-ნი ურუიმაგოვი ყველაზედ უკეთესად ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის „Русское Слово“-ს სთვლის. აი რასა სწერს, სხვათა შორის, ურუიმაგოვი:

„სახელმძღვანელო „Русское Слово“ შედგენილია ბავშვთა ფსიხოლოგიისა და პედაგოგიის კარგის მცოდნე ქართველის მიერ ქართველ ბავშვებისათვისვე. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ სახელმძღვანელოს ორსავე ნაწილის მასალა მეტად კარგად არის დალაგებულ-დაწყობილი და აღებულია ეს მასალა იმ წრის ცხოვრებიდგან, საიდაც ეს ბავშვები იზრდებიან. ბ-ნი გოგებაშვილი, როდესაც ეგ სახელმძღვანელო შეუდგენია, იმ დედა-აზრს დასდგომია, რომ ყოველს საქმეს, მაშასადამე, სკოლებში სწავლების საქმესაც, კარგი ნაყოფი მაშინ მოსდევს, თუ იგი კარგად არის დაწყებული და რომ კარგად დაწყებულ საქმის კარგადვე განგრძობა ძნელი აღარ არის, — აი, სწორედ ამიტომ უმთავრესი ყურადღება ავტორს სწავლების პირველ-დასაწყის წეს-რიგისა და მასალის თანდათანობით დალაგებისთვის მიუქცევია. უმთავრესს საგნად ამ სახელმძღვანელოს ისა აქვს, რომ სწავლება მექანიკური არ იყოს, და რომ მოსწავლეთ, პირველ-დაწყებითი სკოლის საგნების თავიანთის ჭკუითა და გონებით შეთვისების წყალობით, შეეძლოთ სახელმწიფო ენის შესწავლაზედ გადასვლა. მეტად არ მიმაჩნია მოვიყვანო აქ „Филологическая Библiотека“-ს და თერგის ოლქის საერო სასწავლებლების დირექტორის ბ-ნ გრუშევსკის აზრი ამ სახელმძღვანელოს შესახებ“:

ბ-ნს ურუიმაგოვს მოჰყავს რა „Фил. Биб.“-ს აზრი, ამბობს, რომ ამ ჟურნალში მონაწილეობას იღებენ სამეცნიერო აკადემიის წევრები, უნივერსიტეტის პროფესორნი და რუსულისა და უცხო-ქვეყნების ენათა მასწავლებელი-სპეციალისტნი. რაც შეეხება ბ-ნ გრუშევსკის, რომელსაც თვით შეუდგენია სახელმძღვანელო, აი რა აზრი გამოუთქვამს ბ-ნ გოგებაშვილის სახელმძღვანელოს შესახებ: „Русское Слово“-ს მეტოდიურად, წესიერად და დანიშნულების შესაფერად შედგენილ სახელმძღვანელოდა ვსთვლი და ამიტომ ვალდებულად ვრაცხ ჩემ თავს ვურჩიო იხმარონ იგი პირველ დაწყებით წიგნად იმ ჩემდა რწმუნებულ სკოლებში, რომლებშიაც ადგილობრივ მცხოვრებთა შვილები სწავლობენ.“ 1893—4 წელს, როგორც ურუიმაგოვი გადმოგვცემს, ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების ინსპექტორად ნამყოფს არქიმანდრიტს ლეონიდს, აწ გორის ეპისკოპოსს, ბ-ნ გოგებაშვილის სახელმძღვანელო ამ საზოგადოების ოსურს სკოლებში შემოუღია. მასვე უთხოვნია მასწავლებლებისათვის შესდგომოდნენ ამ სახელმძღვანელოს ოსურად გადათარგმნას.

„კავკავის საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს არდონის განყოფილების ერთს წევრს, რომელიც მარშან ტფილისში მასწავლებელთა კურსებს დაესწრო, — განაკრძობს ავტორი წერილისა, — განუხილავს რა ბ-ნ გოგებაშვილის სახელმძღვანელო და უცვნია რა იგი მეტად შესაფერად ოსურ სკოლებისათვის, სასურველად დაუნახავს ეს სახელმძღვანელო შემოღებულ იქმნას იმ სკოლებში, რომელსაც ხსენებული განყოფილება განაგებს. ყოველი ეს ამბავი, საბაქებოდ აღნიშნავს რა ბ-ნ გოგებაშვილის სახელმძღვანელოს, იმასაც გვამცნევს, რომ დიდად სასარგებლო იქნება ეს სახელმძღვანელო შემოღებულ იყოს ოსეთში, რომელიც დღემდის მოკლებულია სპეციალ, მეტოდიურად შედგენილს სახელმძღვანელოს და რომლის ზნე, ხასიათი და ენა ქართულს უფრო უახლოვდება, ვიდრე რუსულს; მაშასადამე, ქართველ ბავშვებისთვის შედგენილი სახელმძღვანელო უფრო შეეფერება ოსურს სკოლებს, ვიდრე რომელიმე სხვა სახელმძღვანელო“.

„დასასრულ ვიმეორებთ, რომ შენობა მაშინ იქცევა, როდესაც მკვიდრი საძირკველი არა აქვს, ამიტომ ვისაც ჰსურს, რომ შენობა არ დაიქცეს, უნდა ეცადოს საძირკველი მკვიდრი ააგოს. რა არის იმისი მიზეზი, რომ ოსის ბავშვები ხუთის წლის სწავლის შემდეგ მალე ივიწყებენ ლაპარაკსა და წერას რუსულად. კიდევ ვიმეორებთ, რომ ერთი მიზეზთაგანი კარგად, სისტემატიურად შედგენილ სახელმძღვანელოს უქონლობაა,.. ოსურს სკოლებში მასწავლებლებს ვურჩევთ გაიცნონ ბ-ნ გოგებაშვილის სახელმძღვანელო, შეადარონ იგი სხვა სახელმძღვანელოებს და მხოლოდ შემდეგ გამოსთქვან თავიანთი აზრი“.

---

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 აპრილი.

**ლონდონი.** „Daily Telegraph“-ს დეპეშით ატყობინებენ ბლუმფონტეინიდგან: „დარაჯებმა ამბავი მოიტანეს, რომ ბლუმფონტენიდგან 15 მილის სიშორეზედ ბურებმა პატარ-პატარა რაზმები დააყენეს სადარაჯოდაო“.

„Morning Post“-ს ატყობინებენ, რომ ბლუმფონტენიდგან სამხრეთისაკენ მიმავალ რკინის გზაზედ მატარებლების მიმოსვლა შეჩერებულია, რადგანაც ლიანდაგი წყალმა გააფუჭაო.

„Times“-ს ატყობინებენ ბლუმფონტენიდგან, რომ გენერალი პრეტიმანი მთელ ორანჟეს რესპუბლიკის სამხედრო გუბერნატორად იქმნა დანიშნულიო.

„Daily Teleg.“-ს ატყობინებენ ლედი-სმიტიდგან: ამბობენ, რომ ბურები თავიანთის ზარბაზნებით თავს ანებებენ ბიგერის მთებს და უკან იწევენო. შემდეგ კვირაში უთუოდ გზა გაიხსნება ინგლისელებისათვისაო.

**ნიუ იორკი.** „World“-ს ატყობინებენ ვაშინგტონიდგან, რომ თუ სულთანმა დაუყოვნებლივ არ დააკმაყოფილა შტატები, ოსმალეთის ელჩს დაუბრუნებენ თავისს პასპორტს და შესწყვეტავენ დიპლომატიურ მოლაპარაკებას იმ დრომდე, ვიდრე ოსმალეთი 100,000 დოლლარს არ გადაიხდისო.

**ოდლოგპორტი.** მერვე და მეცხრე დივიზიები დღეს წავიდნენ წინ და ნაშუადღევს დევეტსდორპთან დასცეს ბანაკი, იმ ადგილზედ, რომელსაც ბურებმა თავი მიანებეს. ინგლისის დარაჯებმა დღეს ბურების ჯარი აქ მახლობლად დაინახეს. რამდენჯერმე თოფის სროლა ისტყდა.

**მასსერუ.** ბურები განუწყვეტლივ ვეპერნის გარეშემო მოქმედებენ. იმათი რაზმები იქითკენ მიდიან, საიდგანაც ინგლისის მისაშველებელი ჯარი უნდა მივიდეს. ბურები მთელი დღე თოფებსა და ზარბაზნებს ესროდნენ ქალაქს, მაგრამ მეციხოვნეთ პასუხი არ გაუციათ. ბურებს ახალი ჯარი მიეშველა. ამბობენ, რომ ინგლისელების მხრივ მოკლულია 25 და დაჭრილი — 110 კაცი. შტეინს ბრძანება გაუცია, ბურებმა დაიჭირონ და არ დაუთმონ ინგლისს ოლქები: ვეპერენი, ლედი-ბრანდტი და რიკსბურგი, რადგანაც საჭირო სურსათს იქიდგან იღებენ უმთავრესად.

**ლონდონი.** „რეიტ. სააგენტოს“ კორესპონდენტი, რომელიც მერვე და მესამე დივიზიების ბანაკშია, იუწყება ბლუმფონტენიდგან, რომ გუშინდელმა ბრძოლამ დევეტსდორპთან შუადღიდგან დაწყობილი საღამომდე გასტანაო. ინგლისელებმა ბურების ორი ზარბაზანი დააზიანეს. ბურების პოზიცია ძლიერიაო.

**ჰააგა.** ბურების რესპუბლიკათა მისსიას რამდენჯერმე მოლაპარაკება ჰქონდა სახელმწიფო საბჭოს წევრთან — ასსერთან. მოლაპარაკებას დაესწრნენ ლეიდსი და მილლერი.

9 აპრილი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესის ბრძანებით ტაინი სოვეტნიკი მიასოედოვი-ივანოვი დანიშნულ იქმნა გზათა მინისტრის ამხანაგის თანამდებობის აღმასრულებლად.

**ლედი-სმიტი.** დილით ადრე მდ. სენ-დეის მხრიდგან განუწყვეტელი თოფის სროლის ხმა მოდიოდა ერთის საათის განმავლობაში.

**კიმბერლეი.** ადგილობრივ მცხოვრებლების მიერ მოტანილი ამბავი, რომ ბეჩუანთა ქვეყანაში აჯანყებაო, არა მართლდება. ბურებმა ტუანგის მეთაურს 500 კაცი მოსთხოვეს მადნებისთვის, ხოლო გონინგის მეთაურს — საქონელი, რომელიც ვითომ ინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლისის ფერმერს ეკუთვნისო. ორივე მოთხოვნილება უარ ჰყვეს ადგილობრივ მცხოვრებთა წინამძღოლებმა. ბურები და მეთაურნი ეჭვის თვალით უყურებენ ერთმანეთს.

**ლორენცო-მარკეზი.** აქ მოვიდა პორტუგალიის გემი, რომელზედაც 800 ჯარის-კაცია, ლისსაბონიდგან გამოგზავნილი.

**ბლუმფონტეინი.** დღეს დევეტს დორპთან ბრძოლა მოხდა, რომელშიაც უმთავრესად არტილერიამ მიიღო მონაწილეობა. ინგლისელების ზარალი მცირეა.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იუწყება ბლუმფონტეინიდგან: „8 აპრილს ჯარი რენდლისა, რომელიც მერვე დივიზიას უფროსობდა, გუშინ დევეტსდორპიდგან სამხრეთ-დასავლეთით ხუთის მილის მანძილზედ მტერს შეჰხვდა. მტერმა ძლიერი პოზიცია დაიჭირა, რომელიც ქალაქს ზედ დაჰყურებდა. იომარებმა და ამხედრებულმა ქვეითა რაზმმა სხვა პოზიცია დაიჭირეს, რის გამო რენდლიმ შესძლო მტერის განდევნა და იმ მაღლობის დაჭერა, რომელიც წინად ბურების ხელში იყო. რენდლმა დღეს დილით ხელ-ახლა გაუმართა ბრძოლა მტერს. 8 აპრილს ჩვენის მხრივ ორი კაცი მძიმედ დაიჭრა და ერთი აფიცერი და 7 ჯარის-კაციც მსუბუქად".

**პარიჟი.** ლუბე თავისის მეუღლითურთ დაესწრო დღეს ქალაქის მიერ გამოფენის გამო გამართულ ნადიმს. ნადიმს სადიპლომატო კორპუსიც დაესწრო.

**აკრა.** ოფიციალურად იუწყებიან, რომ ჯარის პირველი ნაწილი, რომელიც კუმასის განსათავისუფლებლად მიდის, ქალაქს მიუახლოვდაო.

**მასსერუ.** ბურები გარს ეხვევიან ვეპერენს, მოწინააღმდეგეს, როგორც ეტყობა, განუზრახავს დაიმორჩილოს მეციხოვნენი იმ დრომდე, ვიდრე მომწყვდეულთ ჯარი მიეშველებოდეს. დღეს დილით დევეტსდორპიდგან სროლის ხმა მოდიოდა. ვეპერენთან მყოფი რაზმი საჩქაროდ იქითკენ გაემართა. როგორცა სჩანს, ცხარე ბრძოლა მოხდება.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტოს" გაუგია, რომ ინგლისსა და საფრანგეთს შორის არასოდეს არა ყოფილა ლაპარაკი ოქროს ნაპირის ქვემოდ მდებარე ოლქის შესახებაო. მას შემდეგ, რაც საზღვარი იქმნა გაყვანილი, არაოდეს არ მომხდარა მცირე შეტაკებაც-კი.

**ლონდონი.** ერთმა რაზმმა, რომელიც მეტუენის ჯარს ეკუთვნის და რომელსაც ზვარტსკოპფონტეინთან პოზიცია ეჭირა, ბრძანება მიიღო უკანვე ბოგოფისაკენ დაწეულიყო. ამ დაწევის დროს რაზმს ბურების ჯარი დაეცა, რომელიც 2000 კაცისაგან შესდგებოდა. საახალშენო რაზმმა და იომარებმა ერთი გორაკი დაიჭირეს, საიდგანაც მტერს იგერიებდნენ იმ დრომდე, ვიდრე უმთავრესმა ჯარმა და ურმებმა არ გაიარეს. ინგლისის ჯარს რამდენიმე ზარალი მოუვიდა. ჰფიქრობენ, რომ ზარალი დიდია, რადგანაც ისინი გორაკს 300 იარდით მიუახლოვდნენ.

**პეტერბურგი.** უმაღლესი რესკრიპტი დიდის მთავრის სერგეი ალექსანდრეს სახელზედ:

„I. თქვენო იმპერატორობით უმაღლესობავ! მხურვალე სურვილი ჩემი და იმპერატრიცასი ალექსანდრა თეოდორეს ასულისა, რომ ჩვენის შვილებითურთ ვნების კვირა გაგვეტარებინა მოსკოვში, მიგველო წმ. საიდუმლო და აღდგომას მივეგებებოდით მანდვე, მოსკოვის უდიდეს წმინდანთა შორის, ღვთის წყალობით აღსრულდა. აქ, სადაც განისვენებენ ღვთის მოსავნი წმინდანნი, რუსთა მიწის განმაერთებელთა და განმამტკიცებელთა საფლავებს შორის, მხურვალე ლოცვას უგზავნიან მეფეთა მეფეს და სიხარული ავსებს გულს. ვისურვებ, რომ ისმინოს უფალმა ეს ლოცვები, განამტკიცოს მორწმუნენი და აკურთხოს რუსეთის სამპყრობელო,—რომელიც მტკიცედ არის დაყრდნობილი მართლმადიდებლობის ჭეშმარიტებაზედ და მტკიცედ იცავს მშვიდობისა და სიყვარულის მცნებას. ჩემს ხალხთან ერთად ლოცვაში ახალ ძალას ვპოვებ რუსეთის სახელისა კეთილ დღეობისათვის სამსახურად. მე დიდად მიხარის გამოვუცხადო განსაკუთრებულ დღეს თქვენ იმპერატორობით უმაღლესობას და ჩემთვის ძვირფასს მოსკოვს გულმხურვალე ჩემი გრძნობანი.

„ქრისტე აღსდგა. ნიკოლოზ".

II, „თქვენო იმპერატორობით უმაღლესობავ! ცხრა წლის წინად ჩემმა დაუვიწყარმა მშობელმა, მოსკოვის მიმართ თავისს სიყვარულის განსაცხადებლად, გიწყალობათ თქვენ ამ სატახტო ქალაქის გამგებლად. ყოველთვის, როდესაც ვყოფილვარ მოსკოვში, ვრწმუნდებოდი, რომ კეთილად ასრულებდით მონდობილ საქმეს, ჩემ ყოველსავე ბრძანებას და ღვთივ განსვენებულის იმპერატორ ალექსანდრე მე-III ის ანდერძს. დიდად ვაფასებ-რა თქვენ ღვაწლს, გიგზავნით გულზედ სატარებლად ბრილიანტით შემკულს ჩემს სურათს. გულწრფელად მადლობელი და გულით თქვენი მოყვარული ძმის წული ნიკოლოზ".

მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და უბოძა მოსკოვის მიტროპოლიტს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესს ვლადიმირს ბრილიანტის ჯვარი მიტრაზედ სატარებლად.

**მოსკოვი.** შუადღისას, როდესაც მესამედ გავარდა ზარბაზანი, მათნი უდიდებულესობანი გამობრძანდნენ კრემლის დიდის სასახლიდგან და გაემართნენ ცისკარზედ მაცხოვრის ეკკლესიაში. ამ დროისთვის ეკატერინეს დარბაზში შეიკრიბნენ სასახლის კაცნი და ქალნი; ანდრიეს დარბაზში კიდევ სამხედრონი იდგნენ; ალექსანდრეს დარბაზში—ქალაქელი მანდილოსანნი; გიორგისაში—სამოქალაქო მოხელენი, თავად აზნაურთა, ქალაქისა და ვაჭართა წარმომადგენელნი. პირველად გოფ და კამერ ფურიერნი გამოვიდნენ, მათ მისდევდნენ ცერემონმეისტერი, კამერ-იუნკერი, კამერჰერები, შემდეგ გოფმარშალი გრაფი ბენკენდორფი, ოფერ-გოფმარშალი თავადი დოლგორუკი და ობერ-გოფმეისტერი ნეიგარდი, შემდეგ გამობრძანდნენ მათი უდიდებულესობანი. მათ უდიდებულესობათ მისდევდნენ: დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე და მისი უავგუსტოესი მეუღლე, შემდეგ სასახლის მანდილოსანნი, გენერალ-ადიუტანტები და ამალა. წირვა პროტოპრესვიტერმა იანიშევმა გარდაიხადა. მათ უდიდებულესობათ ცისკარი და წირვა მოისმინეს. წირვის შემდეგ მათ უდიდებულესობას მიულოცეს. შემდეგ იმავე წესით უკან დაბრუნდნენ. 11 საათზედ მათ უდიდებულესობათ მიტროპოლიტმა ვლადიმირმა და უწმიდესმა სამღვდელოებამ მიულოცა, აგრეთვე სამხედრო და სასახლის მოხელეთ. ხელმწიფე ეამბორა ყველა იმათ, ვინც მიულოცეს.

გუშინ მათი უდიდებულესობანი წირვას დაესწრნენ, ხოლო სამ საათზედ ამაღლების დედათა მონასტერში წაბრძანდნენ. იღუმენიამ მიართვა მის უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს ამაღლების ხატი, ხოლო დედოფალს—წმ. ეფროსინეს ხატი, აბრეშუმით ნაქსოვი.

10 აპრილი

**მოსკოვი.** გუშინ მათ უდიდებულესობათა მილოცვის დროს სამღვდელოების მიერ, მიტროპოლიტის ვლადიმირის წინამძღოლობით და უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგის საბლერის თანდასწრებით, მიტროპოლიტი შემდეგის სიტყვებით მიესალმა მათს უდიდებულესობას: „ულოცავენ-რა თქვენს იმპერატორობით უდიდებულესობათ ქრისტეს აღდგომას, ეკკლესიის მოსამსახურეთ შესაფერისად მიაჩნიათ გამოსთქვან თავიანთი თქვენდამი კეთილი სურვილი შემდეგის სიტყვებით: „განაძლიეროს მკვდრეთით აღდგომილმან თქვენი მარჯვენა, მოგანიჭოსთ მშვიდობიანობა, დაგიმყაროსთ სახელმწიფო საქმეთა ისეთი მსვლელობა, რომელსაც არ შეეძლოს მოგაკლოს თქვენ მშვიდობიანობა, კეთილ-დღეობა და მხიარულება". მისალმების მოსმენის შემდეგ, მისმა უდიდებულესობამ კეთილ ინება ქრისტეს აღდგომა მიელოცნა მიტროპოლიტისა, სენატორის საბლერისა და სამღვდელოებისათვის, ამავე დროს ხელმწიფემ ინება ყველასათვის სააღდგომო კვერცხი დაერიგებინა.

აქ მოვიდნენ მათი უმაღლესობანი დიდნი მთავარნი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე, ანდრია ვლადიმერის ძე და სამხედრო მინისტრი.

**მოსკოვი.** დღეს 3 საათ. 45 წ. მათი უდიდებულესობანი, რომელთაც ახლდნენ მათი უმაღლესობანი დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე და მისი უავგუსტოესი მეუღლე, მიტროპოლიტ ვლადიმირთან მიბრძანდნენ. დაჰყვეს-რა იქ 20 წუთი, ახლად მოწყობილ ჯვარის ეკკლესიაში შებრძანდნენ. დაჰყვეს-რა იქ 35 წუთი, მათი უდიდებულესობანი და მათი უმაღლესობანი კრემლის სასახლეში დაბრუნდნენ. გზაში აუარებელი ხალხი იყო თავმოყრილი და აღტაცებულის „ურას" ძახილით ეგებებოდა მათს უდიდებულესობათ.

**მოსკოვი** დღეს თერთმეტ საათზე შეიკრიბნენ კრემლის სასახლეში სასახლის მინისტრი ბარონი ფრედერიკსი, გენერალ-ადიუტანტი გრაფი ოლსუფიევი, სასახლის კომენდანტი გენერალ-ადიუტანტი გესე, მორიგენი და მოსკოვის სამხედრო ოლქის სხვა მოხელენი მათ უდიდებულესობათა მისალოცავად. მათი უდიდებულესობანი ტახტთან ფეხზედ იდგნენ და ისე ღებულობდნენ მილოცვას.

**პეტერბურგი.** ნოვგოროდის საერობო გამგეობის თავმჯდომარე ხვოშჩინსკი უმაღლესის ბრძანებით დანიშნულ იქმნა კავკასიის მადნეულ წყლების დირექტორად.

**პრეტორია.** გენერალი დევეტი იუწყება, რომ ინგლისელებს ჯერ ისევ გარს ვარტყივართო. დევეტმა ტყვედ წაიყვანა თერთმეტი კაცი, იმათ შორის ერთი წარჩინებული არტილერიის აფიცერი.

ინგლისის ჯარის რაზმი, რომელიც ვეპენერისაკენ მიდიოდა ალივალნორტიდან; განადგურებულ იქმნა.

**მასერუ.** ბურების ოთხი ზარბაზანი ყუმბარებს ესვრის ქალაქს. დღეს დილით დევენპორტის მხრიდგან ზარბაზნის ხმა მოისმა. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ამბავი მოიტანეს, რომ ბრაბანტი დღეს გამოჩნდა ბუმანსკოპში მიმავალ გზაზედო, ვეპერენიდან ოცი მილის მოშორებით ბურები სამს ნაწილად გაიყვნენ, რომელთაგან ორმა ნაწილმა ინგლისელებს უნდა დაახევინოს უკან, რომელნიც ვეპერენის გასანთავისუფლებლად მიდიან, ხოლო ერთი ნაწილი ვეპერენს არტყია გარს.

**მასერუ.** 8 აპრილს, საღამოს, ბრაბანტი ბუმანსკოპში მივიდა და დღეს ბურები ომში ჩაიტყუილა. ამ დეპეშის გამოგზავნის დროს ზარბაზნების სროლა გაცხარებული იყო.—პოლკოვნიკი დანგეტი იუწყება, რომ ვეპერენში საქმე კარგად მიდისო. გუშინ ბურებმა 300 ყუმბარა ჩააგდეს ქალაქში, რომელთაც დიდი ვნება არ მოუტანიათ. მტერი შესაჩნევად დაზიანდა.

**ლედი-სმიტი.** ელანდსლააგტეს მახლობლად დღეს დილიდგან საღამომდისინ შეტაკება არ შეწყვეტილა. ათასი ბური დილა ადრიან მთასთან მივიდა, რომელიც წინად ბრიტანიის ქვეითა ჯარს ეჭირა. დაინახეს-რა ინგლისელები, იმათ ყუმბარები დაუშინებს სერს, მაგრამ ვერა დააკლეს-რა. როცა ინგლისელებმა გემის ზარბაზნებიდგან დაიწყეს სროლა, ბურებმა დასცალეს წინა სიმაგრეები.

**პარიჟი.** დღეს მინისტრთა საბჭოს აუწყა ზღვათა მინისტრმა, თუ რა ღონისძიება იქმნა მიღებული ზღვათა სამინისტროს მოხელის ფილიპის წინააღმდეგ, რომელსაც საეჭვო მოქმედება ჰბრალდებოდა. ფილიპი დაბარებულია, ორი სხვა მოხელე სამსახურიდგან დათხოვნილი და კიდევ რამდენიმე კაცს სასტიკი საყვედური გამოეცხადათ.

11 აპრილი

**მოსკოვი.** დიადს სურათს წარმოადგენს სააღდგომო საუზმე, რომელიც მოსკოვის თავად-აზნაურობამ გამართა. ამ საუზმეზე კეთილ ინება და დაესწრო მათი უდიდებულესობა. საუზმე ჭეშმარიტად მეფურის სიდიადით განირჩეოდა. რუსეთის „კეთილშობილთა საკრებულო" დარბაზი გარედგან მორთული იყო ეროვნული ბაირაღებით, მოსკოვის ქალაქის გერბით და სამეფო პორფირით იმპერატორის გვირგვინის ქვეშ. პორფირზე ოქროს ასოებით ალბექდილი იყო ინიციალები მათის უდიდებულესობისა ხელმწიფე იმპერატორისა და დედოფალ ალექსანდრა თეოდორეს ასულისა, შუაში ლურჯად ალბექდილი იყო დედოფალ მარია თეოდორეს ასულის ინიციალი.

საუზმეზე 600-დე სული იყო მიწვეული. დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე და დიდი მთავარი ანდრეი ვლადიმირის ძე მობრძანდნენ პირველს საათზე, შემდეგ მობრძანდნენ მათი უდიდებულესობანი დიდის მთავრის სერგეი ალექსანდრეს ძის და მისის მეუღლითურთ. თეატრის მოედანი სავსე იყო ხალხით, რომელიც მათ უდიდებულესობას „ურას" ძახილით მიეგება. მათ უდიდებულესობას შესავალში დახვდა თავად-აზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლი სამაზრო წინამძღოლებით და თავად-აზნაურთა საკრებულო დეპუტატებითურთ.

როდესაც საუზმეზე შამპანიური მოიტანეს, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა მათ უდიდებულესობას შემდეგი სიტყვა მოახსენა: „თქვენო იმპერატორობითო უდიდებულესობავ, მოსკოვის თავად-აზნაურთა სახელით, მაქვს ბედნიერება მოვახსენო თქვენს იმპერატორობით უდიდებულესობას და დედოფალს იმპერატრიცას ჩვენი წრფელი და გულ-მხურვალე სიხარული, რომ თქვენ ღირს გვყავით და მობრძანდით აღდგომის პირველს დღეს სააღდგომო საუზმეზე. გმადლობთ იმ დიდის პატივისათვის, რომლითაც თქვენმა უდიდებულესობამ გააბედნიერა მოსკოვის თავად-აზნაურობა. ვიღებ ჭიქას და ვსვამ თქვენის უდიდებულესობის სადღეგრძელოს. გაუმარჯოს ხელმწიფე იმპერატორს და დედოფალ იმპერატრიცას! ურა!" ხელმწიფე იმპერატორმა გუბერნიის წინამძღოლს ინება და მიუგო შემდეგის სიტყვით:

„დედოფალი და მე გულითადად ვმადლობთ მოსკოვის თავად-აზნაურობას მის გულ-მხურვალე და საუცხოვო დახვედრისათვის. ვსვამთ მის კეთილდღეობისთვის და წარმატებისთვის. ურა!"

**ხარკოვი.** აქ ცეცხლისაგან დაიწვა 500 შენობა. ცეცხლმა რამდენიმე კაციც იმსხვერპლა.

**ლონდონი.** ბურების ბანაკიდამ ტაბანჩუს აუწყებენ: დღეს გენერ. დევეტმა მიიღო დამატებითი ტრანსპორტი საომარი იარაღებისა. იამერბერგთან დევეტმა ყველა ზარბაზნები ინგლისელების ბანაკს მიუმარჯვა. ინგლისელების ერთი ზარბაზანი დაიმტვრა.

ლორენცო-მარკეზიდგან გაზ. „Times"-ს ატყობინებენ: უცხოელ სპეციალისტებმა პრეტორიაში ჩამოსასხამი ქარხანა გამართეს, ამ ქარხანაში დიდ ზარბაზნებს ამზადებენ. ერთი ზარბაზანი უკვე გაგზავნეს ორანჟეს რესპუბლიკაში.

რობერტსი იტყობინება ბლუმფონტეინიდგან: „რენდლი იუწყება, რომ 25 კაცი უკვალოდ დაიკარგა მაშინ, როცა ისინი წინა მოდარაჯეებთან ფურგუნებით იქნენ გაგზავნილნი. ამიტომ გუშინ გაიგზავნა პოლკერიუს წინამძღოლობით მე-11-ე დივიზია, კავალერიის ორი ბრიგადით, რომელსაც მეთაურობს ფრენჩი. იმათ მიაღწიეს კარიფონტეინამდე. ზარალი შემდეგია: ორი კაცი მოკლულ იქმნა, 19 დაიჭრა, მათ რიცხვში ერთი ოფიცერი ძლიერ არის დაჭრილი. თერთმეტს კაცს არ იციან რა მოუვიდათ. პოლკერიუს ჯარმა დაიჭირა ლეუვკოპი. მტერმა თავი მიანება ლეუვკოპს და რამდენიმე ზარბაზანი და სურსათი დასტოვა".

**კაპშტადტი.** მეამბოხენი, რომელნიც სეინისაიდში ტყვედ წაიყვანეს, დამნაშავედ იქმნენ ცნობილნი. მათი სამი წინამძღოლი ხუთის წლით იქ-

მნენ დაპატიმრებულნი, დანარჩენნი სამის წლით.

**მასერუ.** ბურებმა დღეს თავი მი ანებეს მუშმანსკოპს, როდესაც მათკენ ჯარით ბრაბანტი და გარტი მიდიოდა. როგორც ამბობენ, ინგლისის ჯარმა ღამე გაათენა ვეპენერთან რვა ვერსის სიშორეზე.

**ვაკერსტრომი.** დღევანდელმა დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. ბანაკები ყველა თავის ალაგას დარჩა. ინგლისელები ხანგამოშვებით ესროდნენ ბურებს, ხოლო ბურები განუწყვეტლივ უშენდნენ მათ ზარბაზნებს.

**ლეუვკოპი.** ბურებსა და ინგლისელებს შორის რამდენიმე შეტაკება მოხდა. ამბობენ, რომ დევეტს წყლის მილი უპირავსო.

12 აპრილი

**პეტერბურგი.** მათი უდიდებულესობა 24 აპრილს მარსის მოედანზე ჯარს დაათვალიერებს.

**ლონდონი.** ოფიციალურ ცნობებიდგან სჩანს, რომ ვეპენერთან 9 აპრილიდგან 18 აპრილამდე ინგლისელებისთვის მოუკლავთ 3 ოფიცერი 18 ჯარის-კაცი, დაუჭრიათ 14 ოფიცერი და 86 ჯარის-კაცი. მეტუენის რაზმში შვარცკოპფონტენთან მოკლულ იქმნა 2 და დაიჭრა 11 კაცი. 19 აპრილს დევეტედორპთან დაიჭრა 10 კაცი.

საღამოს გაზეთებში დაბეჭდილია დეპეშა ბლუმფონტენიდგან. ეს დეპეშა იუწყება, რომ პოლ-კარიუმ დაიჭირა წყლის მილი, შემდეგ 8 ბრიგადა ლეუსკოპისაკენ წავიდა და საღამოთი იგიც ჩაიგდო ხელში. ამ ადგილას აღარ ელიან რომ რამე დიდი შეტაკება მოხდეს.

**მასერუ.** დღეს, განთიადისას, ბურები, რომელთაც ოთხი ზარბაზნის ცეცხლი იფარავდა, დაესხნენ დალგეტის სიმაგრეს ჩრდილოეთის მხრივ, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. შემდეგ ბურები დაბანაკდნენ ვაკე ადგილას, საიდანაც თოფებს ისროდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ ზარბაზნების ხმა მოისმა დევეტსდორპისაკენ, მაგრამ არავითარი ნიშანი არ არის იმისა, რომ ინგლისის ჯარი დღეს წინ წასულიყვეს.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იუწყება ბლუმფონტენიდგან, რომ ბრაბანტმა და გარტმა გუშინ გვერდი აუარეს მტრის სიმაგრეს, რომელიც ცდილობდა შეეჩერებინა ჩვენი ჯარის მოძრაობა ჩრდილოეთის მხრივ, და გელიოგრაფის შემწეობით ამბავი გაიგეს დალგეტისაგან, რომელმაც აუწყა მათ, რომ მე არა მიჭირს-რაო. გუშინ ბრაბანტმა და გარტმა დაჰკარგეს 14 დაჭრილი ჯარის-კაცი. გუშინ, ნაშუადღევის პირველ საათზე, ისინი იმყოფებოდნენ დახლოებით რვა მილის მანძილზე ვეპენერიდგან სამხრეთ მხარეს. პოლ-კარიუს მე-21 დივიზიამ და ფრენჩის ორივე ცხენოსან ჯარის ბრიგადამ გუშინ, საღამოს, მიაღწიეს ტვალ-გულუკამფს, ისე რომ დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია მათთვის მტერს, და გელიოგრაფის საშუალებით მოლაპარაკება გაჰმართეს რენდელთან. ქვეითა ჯარმა გენერალ გამილტონის უფროსობით გუშინ წყლის მილი დაიჭირა სანახსპორტთან. გამილტონის მისაშველებლად გაგზავნილ იქმნა მეცხრე დივიზია. მაკსველის ბრიგადა გუშინ დაიძრა აღმოსავლეთისაკენ და დაუბრკოლებლივ დაიჭირა გორაკები, რომელნიც დაჰყურებენ მდინარე მოდერის ხიდს კრანკ-კრაალთან.

**კონსტანტინეპოლი.** ალექსანდრეტაში პოლიციამ ამერიკის კონსული შეურაცხყო, მიზეზი ამისა სომხის ორის ოჯახის ამერიკაში წასვლა იყო. პოლიცია მათ ნებას არ აძლევდათ. იმედი აქვთ, რომ აქაური ამერიკის რწმუნებული თავ-გამოდებით გამოეკიდება ამ საქმესო.

**ლონდონი.** „რეიტ. სააგენტოს“ ბურების ბანაკიდგან ატყობინებენ, რომ ელანსტლანგთან ინგლისელების ჯარს შაბათს, გათენებისას თავს დაესხნენ ბურების ჯარი. მათ ზარბაზნები დაუშინეს მტერს ორის მხრივ. ინგლისელებმა უპასუხეს, იმის შემდეგ, როდესაც ბურებმა მათ რამდენიმე ზარბაზანი ესროლეს; მაგრამ ინგლისის ზარბაზნებს არავითარი ზარალი არ მიუციათ მოწინააღმდეგეთათვის. რამდენად დაზარალდნენ ინგლისელები, ჯერ არავინ იცის. ბურგერებმა ინგლისის სადარაჯო რაზმებს, რომელნიც თოფის სროლის მანძილზედ იყვნენ, საშინლად დაუწყეს სროლა. ინგლისის ახალი ბანაკი კარგაა გამაგრებული.

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ ქნ-ს ოლღა ი. მირზაშვილს, რომელმაც შემოსწირა ჩემდამო რწმუნებულს შინდისის სამრევლო სკოლას წარსულის წლის საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი „ჯეჯილი“.

შინდისის სამრევლო სკოლის მასწავლებელი გიორგი მაჭარაშვილი.

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული:

სისხლის სამართლის პირველი დეპარტამენტი

18 აპრილი.

საქმე სოლომონ და ერმონია სიდამონიძეთა, რომელთაც კაცის მოკვლა ჰბრალდებათ.

ივანე ფეიქრიშვილისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-1484 მუხ. მე-2 ნაწ. აღნიშნული ბრალი ედება.

ამბაკო ცაგარეიშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვის ბრალი ედება.

იასე ციცკალაურისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-1656 მუხ. აღნიშნული ბრალი ედება.

22 აპრილი

საქმე მღვდლის ელიშე გეგომიანცისა, რომელსაც სასჯ. დებულ. მე-190 და 194 მუხ. დანიშნული ბრალი ედება.

ქ. ტფილისის მე-9 ნაწილის პოლიციელის ჩაევსკისა, რომელსაც სამსახურის დროს ჩადენილი უკანონობანი ჰბრალდება.

დიოდიმე ჯინორიასი, დათა კორძახიასი და მარინე რუბენიასი, რომელთაც ფიცით ცრუ მოწმობა ჰბრალდებათ.

ივანე კოკაშვილისა, რომელსაც მამის მოკვლა ჰბრალდება.

ილია ბეჟანაშვილისა და ივანე წილაკაშვილისა, რომელთაც გაძარცვა ჰბრალდებათ.

25 აპრილი

ყარამან და ქრისტინა ძიძიგურებისა, რომელთაც სასჯ. დებ. მე-942 და 238 მუხ. აღნიშნული ბრალი ედებათ.

დავით შავარდნაძისა, რომელსაც სასჯ. დებ. მე-1480 მუხლ. აღნიშნული ბრალი ედება.

ონისიმე ლოლუასი, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა-ჩადენა ჰბრალდება.


# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ამა 1900 წლის 19 აპრილს, შუადღის 12 საათზედ მოხდება

**საჯარო ვაჭრობა,**

რომელზედაც იჯარით გაცემულ იქმნება ქალაქის ქუჩების მოკირწყვლისა და შეკეთების საქმე: 1, 2, 3, ნაწილში, სულ 5000 ოთხ-კ. საჟენი; მე-4, 5 და 6 ნაწილში 2500 ოთხ-კ. საჟ.; მე-7 და 8 ნაწ.—2500 ოთხ-კ. საჟ.; და მე-9 და 10 ნაწ.—5000 ოთხ-კუთხი საჟ.

მსურველთ შეუძლიანთ გაისინჯოთ პირობანი გამგეობის პირველ განყოფილებაში ყოველ-დღე, 9—3 საათ.

(3—6.—1)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით, შუადღის 12 საათზე, 1900 წლის 14 აპრილს, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლით მოიჯარადრემ უნდა წარმოადგინოს 600 კუბიკ. საჟ. ქვა და 120 კუბ. საჟ. ქვიშა ქალაქის ქუჩის რემონტისათვის.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან დაწვრილებით პირობები განიხილოს ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

(3—6.—3).

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მისის თანადასწრებით 14 აპრილს, შუადღის 12 საათზედ, დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** ნამტვრევ თუჯის მილებისა და ძველ თუჯისავე ტიურბინების გასასყიდად, სულ 1,000 ფუთამდე, რომელიც ავჭალის საქალაქო წყლის მილის საწყობში არის.

(3—6.—3)




(50—267—25)

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

## ქართლის ცხოვრებისა

მესამე წიგნი

გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. ფასი 2 აბაზი. ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში.

[illegible] ფოტოგრაფია

ა. ს. [illegible]

[illegible] 1892 და 1899 [illegible]

[illegible]

(30—44—23)

ამა წლის პირველ აპრილიდგან

## დაბ. ქარელიდან დ. ცხინვალამდე

## ივლის ომნიბუსები

კაცის თავზე ფასი 90 კაპ. ომნიბუსი ქარელიდგან გავა პირველ საათის ნახევარზე და მივა ცხინვალს 4 საათსა. ცხინვალიდან წამოვა დილის შვიდ საათსა და იქმნება ქარელს ათის ნახევარზე.

ომნიბუსების პატრონნი: აბელ კალატოზიშვილი და თ. ა. ნ. ციციშვილი.

(10—6.—4)



## რა უპირატესობა აქვს სხვა საზოგადოებასთან შედარებით

## ნიუ-იორკის

## საზოგადოებაში სიცოცხლის დაზღვევას?

**ის,** რომ ეს საზოგადოება ერთი უდიდესთაგანია და სანდოა დედამიწაზედ.

**ის,** რომ იმისი აქტივი 416,773,000 მანეთს აღემატება.

**ის,** რომ „ნიუ-იორკის“ საზოგადოება საურთი-ერთოა და იმისი თანხები და მოგებანი დაზღვეულთა საკუთრებას შეადგენს.

**ის,** რომ „ნიუ-იორკს“ საპატიო წარსული აქვს, 54 წელიწადი არსებობს, რომლის განმავლობაშიაც იმის საფინანსო ძალა და წარმატება პროგრესიულად იზრდება,

**ის,** რომ იმის პოლისები ნაღდი და ეჭვ შეუტანელია, თუ პრემია თავისს დროზედ იქმხება მეტახილი, საზოგადოება დაუყოვნებლივ და უდავოდ იხდის დაზღვევის გადასახადს და, ამ რიგად, დამზღვევს სრული იმედი უნდა ჰქონდეს, რომ იმისი ქვრივი და შვილები ანუ კანონიერი მემკვიდრენი უდავოდ მიიღებენ თანხას.

**ის,** რომ იმისი პოლისი სამის წლის შემდეგ დაურღვეველი ხდება იმ შემთხვევაში, თუ შეჩერებულ იქმნა პრემიების გადახდა, დაზღვევის წინ ნდელი თანხა მაინცა რჩება რამდენისამე წლის განმავლობაში უხარჯოთ, ანუ დამზღვევს შეუძლიან მიიღოს დაკლებულის ფასით სრულად ფას გარდახდილი პოლისი იმავე პირობებით, რა პირობებითაც პირველი პოლისი იყო, ანუ, დასასრულ, შეუძლიან ნაღდ ფულად მიიღოს პოლისის ფასი.

**ის,** რომ თუ პოლისი ძალაში იქმნება სამი წლის განმავლობაში მაინც, დამზღვევს შეუძლიან მიიღოს საზოგადოებისაგან სესხი წლიურის $6\%$-საგან.

**ის,** რომ „ნიუ-იორკის“ საზოგადოება ისეთს პოლისსაც იძლევა, რომლის ძალითაც, დაზღვეულის თანხის გარდახდის გარდა, მემკვიდრეებს დაუბრუნდებათ დაზღვევისათვის შეტანილი ყველა პრემია იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი გარდაიცვლება ხელ-შეკრულობით დადებულ ვადის—10, 15 ან 20 წლის,—განმავლობაში.

**ის,** რომ „ნიუ-იორკის“ საზოგადოებას სამუდამო წინდად შეტანილ 500,000 მანეთის გარდა, საპრემიო ფული რუსეთში დაზღვეულთა დასაკმაყოფილებლად შეაქვს სახელმწიფო ბანკში. ამ ჟამად განსაკუთრებული ფონდი შენახულის ფულისა „ნიუ-იორკის“ საზოგადოებაში იმ დაზღვეულთა, რომელნიც რუსეთში სცხოვრობენ, 9,053,000 მანეთს აღემატება.

**ის,** რომ „ნიუ-იორკის საზოგადოების მოქმედება რუსეთში რუსეთის მთავრობის კონტროლის ქვეშ იმყოფება, ასე რომ პოლისები ყოველის მხრით უზრუნველ ყოფილია.

**ის,** რომ ყველა დასახელებულ პირობათა გამო, „ნიუ-იორკის“ საზოგადოების პოლისი არც ხარჯს შეადგენს და არც მეტ რასმეს დამზღვევისათვის: იგი საუკეთესო ქონებაა, რომელიც ყველას შეუძლიან დაუტოვოს თავისს ოჯახს, რადგანაც იგი შეიძლება ფულად იქმნას გარდაქცეული და ისეთ დაბრკოლებას აცილებულია, როგორიც მიწის ან უძრავ ქონების რეალიზაციის დროს ხდება, და აგრეთვე ბირჟის ცვალებადობას არ ემორჩილება.

**ის,** რომ „ნიუ-იორკის“ საზოგადოება ერთად ერთი დაწესებულებაა, რომელიც აზღვევს სიცოცხლეს ყველა ზემოდ დასახელებულ უპირატესობით.

მთავარი გამგეობა რუსეთისათვის: პეტერბურგი, მალაია მორსკაია, 12.

საზოგადოების საქმეთა მთავარი გამგე რუსეთში პ. პ. მელლერია.

განყოფილება ტფილისში: გოლოვინის პროსპექტი, ახალი სახლი არაფელოვისა (კადეტის კორპუსის პირდაპირ)

(12—50—4)




სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე